

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №601

2020 წლის 24 სექტემბერი

ქ. თბილისი

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შეტანილ იქნეს ცვლილება „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 23/05/2020, 470230000.10.003.022034) და დადგენილებით დამტკიცებულ „იზოლაციისა და კარანტინის წესებს“ დაემატოს შემდეგი შინაარსის 16<sup>3</sup> მუხლი:

**„მუხლი 16<sup>3</sup>. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩერდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მგზავრთა გადაყვანა M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით; საბაგიროთი გადაადგილება. მუნიციპალიტეტებს ოპერაციულ შტაბთან შეთანხმებით, ადმინისტრაციულ საზღვრებში, M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა სპეციალური რეგულარული გადაყვანის მიზნით, ენიჭებათ იურიდიული პირის მოთხოვნით მარშრუტების განსაზღვრის უფლებამოსილება „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიმართულებით ან/და უკუმიმართულებით ჩერდება მგზავრთა საქალაქთაშორისო გადაყვანა M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რესტორნები/ბარები/კაფეები ფუნქციონირებენ 07:00 საათიდან 22:00 საათამდე.“.

**მუხლი 2**

დადგენილება, გარდა დადგენილებით დამატებული 16<sup>3</sup> მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა, ამოქმედდეს 2020 წლის 25 სექტემბრიდან. დადგენილებით დამატებული 16<sup>3</sup> მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს 2020 წლის 26 სექტემბრიდან; ხოლო დადგენილებით დამატებული 16<sup>3</sup> მუხლის მე-3 პუნქტი ამოქმედდეს 2020 წლის 25 სექტემბრის 22:00 საათიდან.

პრემიერ - მინისტრი

გიორგი გახარია

